აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

გადაწყვეტილება №53

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი და ბიუჯეტის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი (№09-01-08/66, 29.10.2024წ.)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიურომ **გადაწყვიტა:**

1. დაიწყოს განხილვის პროცედურა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი განსახილველად გადაეცეს უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებს.
3. წამყვან კომიტეტად განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი.
4. დამტკიცდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში განხილვის განრიგი (თან ერთვის).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

ბათუმი,
31 ოქტომბერი, 2024 წელი
№12

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
ბიუროს 2024 წლის 31 ოქტომბრის №53 გადაწყვეტილების

დანართი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტისა და ბიუჯეტის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის (2025-2028 წლების) პრიორიტეტების დოკუმენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში განხილვის განრიგი

N	დასახელება	კომიტეტის (ფრაქციის) თავმჯდომარე	სხდომაზე განხილვის თარიღი ბოლო ვადა	წამყვან კომიტეტში დასკვნების წარმოდგენის ბოლო ვადა
1	აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი	ფრიდონ ფუტკარაძე	15.11.2024წ.	15.11.2024წ.
2	ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი	ცოტნე ანანიძე	15.11.2024წ.	15.11.2024წ.
3	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი	დავით ბაციკიძე	15.11.2024წ.	15.11.2024წ.
4	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი	ილია ვერძაძე	15.11.2024წ.	15.11.2024წ.
5	საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი	ვლადიმერ მგალობლიშვილი	15.11.2024წ.	15.11.2024წ.
6	საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი	მარინე გვიანიძე	18.11.2024წ.	
7	ფრაქცია „ქართული ოცნება“	გიორგი მანველიძე	15.11.2024წ.	15.11.2024წ.
8	ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	ელგუჯა ბაგრატიონი	15.11.2024წ.	15.11.2024წ.
9	უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი წევრები	ირაკლი ჩავლეიშვილი, გიორგი კირთაძე	15.11.2024წ.	15.11.2024წ.
11	იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი	ვაჟა ცეცხლაძე	15.11.2024წ.	15.11.2024წ.